საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონ. პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან.

№ 152

კვირა, თებერვლის 19

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას თებერვლის 19-ს გორის მაზრიდან ჩამოსვენებული იქნება ნეშტი ტრაგიკულად გარდაცვალებულის მწერლის

თედო რაზიკაშვილისა

წირვა და პანაშვიდი ამავე დღეს ქვაშვეთის ეკლესიაში, საიდანაც მოხდება გამოსვენება დღის 1 საათზე, ხოლო დაკრძალვა დიდუბეში მწერალთა პანთეონში.

144

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ევა თამაზის ასული და შვილი ვალენტინ სილიბისტროს ძე ჯიბლაძეები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თებერვლის 17-ს, ღამის 11 საათზე, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

სილიბისტრო (სილვა) ბესარიონის ძე

ჯიბლაძე

საკუთარი ბინა ანასტასიევის ქუჩა, სახლი № 13.

თამარ და კოტე მაყაშვილები, ეკატერინე გაბაშვილისა, თამარ თარხნიშვილისა, ილია და იოსებ მაყაშვილები აუწყებენ ქართველ საზოგადოებას რომ ორშაბათს, თებერვლის 20-ს ნაშუადღევის 5 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში გადახდილი იქნება წლის პანაშვიდი ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტ-ქალის, გმირულად დაღუპულ მოწყალების დის

მარო მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად.

სიკვდილამდის მგლოვიარე უბედური მშობლები: სერაფიმა და ალექსანდრე ბეშკენაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობარ ნაცნობებს, რომ სამშობლოს სადარაჯოზე დაღუპულ მათი ერთად-ერთი იმედის

პავლიკოს

წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია მის საფლავზე ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში კვირას, თებერვლის 19-ს. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე.

143

## საფინანსო პოლიტიკა

1.

ჩვენი საშინაო ცხოვრება სრულიად მოუწყობელია. ომმა დაგვანგრია, სამოქალაქო ბრძოლებმა დაგვაზარალა. მსოფლიოს ეკონომიური კრიზისი ხელს გვიშლის წარმოებისათვის საჭირო მასალების მიღებას და გადაგზავნას. ურთიერთი ცხოვრება დაიქსაქსა, ძველი ეკონომიკა დაიშალა, სახელმწიფოები გამრავლდა და ყველგან თავისი ფულის სისტემა შემოიღეს.

ამის გარდა: სახელმწიფოების მთელი მართველობა შეიცვალა და ცხოვრების სათავეში გამოჩნდნენ ახალი ძალები ახალი ეკონომიური საფინანსო პოლიტიკით.

სახელმწიფოებრივი ცვლილებების და ახალი ძალების ისტორიული შემოქმედების მაქსიმუმი გადაიტანა რუსეთმა. არ არის დედამიწის ზურგზე სხვა სახელმწიფო ესოდენი ცვლილება, მოძრაობა და ბრძოლა განეცადოს, რამდენიც რუსეთმა.

ამ შეხედულებით ორომტრიალში საქართველოც არის ჩათრეული. ჩვენც ბევრი განვიცადეთ, ბევრი ამბავი გადავიტანეთ, ძრავალგვარი პოლიტიკა გავიტარეთ. დარჩა მხოლოდ ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი ცვლილებები გვაქვს ძიებისათვის. ჩვენი შემოქმედება ჯერ კიდევ არ დამყარებულა, არ ჩამოყალიბებულა. 1921 წელი ისტორიული წელია იმ მხრივ, რომ ამ წლიდან იწყება რევიზია მთელი ჩვენი სოციალისტური შემოქმედებისა, უმართებულო მოვლენებიდან თავის დაღწევისა, ორგანიულ შემოქმედებისათვის დადებითი, მტკიცე ეკონომიური ნიადაგის გამოსაძებნად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოციალიზმის ლიკვიდაცია კი არ არის, პირიქით, იგი არის ერთადერთი, ნამდვილი, რეალური საფუძვლის ჩაყრა ჭეშმარიტი სოციალისტური წყობილებისათვის.

რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ სექტემბრამდე (1921 წ.), როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოვიდა, ყოველივე ეკონომიური შემოქმედება იყო აბსურდი, სისულელე, უთავბოლობა. არა! რუსეთის რევოლუცია სოციალისტური რევოლუცია იყო და არის. ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლუციას უეჭველად უნდა დაენგრია ფიზიკური და მატერიალი საფუძვლები ძველი ფეოდალ-ბურჟუაზიული ძალებისა, ამოეგდო მათი ფესვები, გაერიყა და მოესპო მისი მატარებელი ადამიანები, დაენგრია მთელი მათი სამართალი, კანონი, ჯარი და ამგვარად მუშათა საბჭოების სახელმწიფოსათვის გაეწმინდა ასპარეზი ახალი უფლების, ახალი სამართლის, ახალი ჯარის შესადგენად.

ისტორიას არ ახსოვს არც ერთი რევოლუცია, რომელსაც იმდენად დაენგრიოს ძველი წყობილების საფუძველნი, რამდენადაც ეს მოახერხა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციამ და მისმა შემდგომმა ხანამ. კოლჩაკმა, დენიკინმა, ვრანგელმა და სხ. უდიდესი სამსახური გაუწიეს ახალს რუსეთს იმ მხრივ, რომ მათი დამარცხება განადგურება ნიშნავდა, არა მარტო კონტრ-რევოლუციონურ პარაზიტების განადგურებას, არამედ ყველა იმ იდუმალ ძაფების დაწყვეტასაც, რომელიც მათ ქონდათ გაბმული ეკლესიასთან, სახელმწიფოსთან, საკუთრებასთან. რუსეთის სამოქალაქო ომებმა სისხლის ღვარი დააყენეს ქვეყანაში, მაგრამ ამ სისხლმა განბანა ახალი ნიადაგი ახალი რუსეთის. განა შეიძლებოდა ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულება იმ ახალი ეკონომიური პოლიტიკით, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ დღეს?—რასაკვირველია, არა. ეხლანდელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა შეუცვლელად დატოვებდა მთელ ნავთსაყუდელს ძველი ძირმომპალი წეს-წყობილების ყოველ ელემენტს, მით რომ ევლო რევოლუციას 1918 წლიდან. თანამედროვე ახალი ეკონომიურ პოლიტიკას აზრი აქვს მხოლოდ დღეს, მას შემდეგ, რაც რეალურ ღირებულებათა მთელი ძალა ხელში უპყრია მუშათა კლასს.

კონტრ-რევოლიუციური ელემენტები დაადგენენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ბურჟუაზიისაკენ დახევაა. შეიძლება ეს ბევრს კომუნისტსაც ასე ეგონოს, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშორებია იგავ არაკების და ანდერძების ზღაპრების კითხვას, მაგრამ არსებითად ახალი ეკონომიური პოლიტიკა მომასწავებელია ცხოვრების ბატონ პატრონი პროლეტარიატის ბრძანებლობის ქვეშ საზოგადოების, თუ გნებავთ ბურჟუაზიულ ელემენტის, დაყენების, რომელსაც იმის უნარიც კი აღარ აქვს, რომ მოგონებითაც გაიხსენოს გუშინდელი თავისი ავლა-დიდებანი.

ფინანსების დარგში რევოლიუციურმა შემოქმედებამ 1921 წლამდე დასცა ყოველივე ზღუდე საბანკო და საემისიო კულტურისა. ფულს დაეკარგა ყოველივე მნიშვნელობა, ფული აღარ არსებობდა როგორც მატერიალ ღირებულების ეკვივალენტი. საჭირო იყო ფულის სისტემის თავისთავისაც დანგრევა, ამავე დროს რომ ფინანსების მაგნატებისათვისაც დანგრეულიყო ეს ძვირფასი ზღუდე. ეს ისტორიული მისიაც დღეს შესრულებულია. ძველი ფინანსები და საფინანსო ინსტიტუტები დაიღუპა. საფონდო ბირჟა და კონსორციუმები გაქრა. დღეს სრულ ახალს ნიადაგზე, ახალი მიმართულებით, ახალი პატრონებისათვის უნდა შეიქმნეს ფულის სისტემა და აპარატი.

თანამედროვე რევოლიუციური სახელმწიფო სრული მონოპოლისტია საფინანსო კულტურის. ეს უდიდესი იარაღია სახელმწიფოს ხელში. აქედან საჭიროა ამ იარაღის აწყობა, მისი ელემენტების დაწმენდა, განმტკიცება, გამაგრება და სავსებით გამოყენება.

საფინანსო შემოქმედება შესანიშნავი ხელოვნებაა, რომელშიაც ხელოვან მოღვაწის გამჭრიახობას, ნიჭს, მდიდარ ინტუიციას და გეგმებს დიდი როლის თამაში შეუძლია. ახალი წყობილების ახალი წესები იძლევა მდიდარ მასალას საფინანსო კულტურის შესაქმნელად.

ჩვენ გვინდა ამ დიდ თანამედროვე საკითხის გადაჭრისათვის ჩვენი წვლილიც შევიტანოთ პრაქტიკული და თეორიული დებულებათა წამოყენებით. არსებითად ჩვენი საფინანსო პოლიტიკა პროლეტარულ სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკაა. შაბლონების დარღვევა და სიმტკიცე, გარკვეული ნებისყოფა და სახელმწიფოს ფასიან ქაღალდების სისტემატიური ვალვაცია—აი ზოგადი გზა ჩვენი საფინანსო შემოქმედებისა.

ჩვენ სრულიად აღარ გვაკმაყოფილებს დღევანდელი ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა. სოციალიზმზე ვლაპარაკობთ და მუშათა კლასი მათხოვრის მდგომარეობაშია, პროლეტარიატის დიქტატურას ვიძახით, ხოლო არსებითად პროლეტართა სახეობა პურის და ლობიოს მონებად გადაიქცნენ. ჩვენ ეს მდგომარეობა უეჭველად უნდა შევცვალოთ. ყველაფერს ვერ დავაბრალებთ წარსულ ობიექტიურ პირობებს. ჩვენ საშუალება გვაქვს საფუძვლიანად შევცვალოთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება, ჩვენ შეგვიძლია მუშა გამოვიყვანოთ მაწანწალა მათხოვრის მდგომარეობიდან, ჩვენს ხელში უამრავი სიმდიდრეა, რომელიც იძლევა რეალურ საშუალებას ჩვენი მანეთის აღიარებისაკენ გასაქანებლად.

ევროპის ბურჟუაზიას არ შეუძლიან მიაღწიოს ფინანსების დარგში იმ მიზნებს, რომელსაც ადვილად მოახერხებს ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო. დღეს კი პროლეტარიატის ფინანსები გაკოტრებულია ბურჟუაზიის ფინანსებთან შედარებით და ინგლისის ერთი შილინგი უფრო მეტი ღირს, ვიდრე ჩვენი ასი ათასი მანეთი. ჩვენი ამაზე მეტი გაკოტრება შეუძლებელია. ჩვენ არა თუ ოქროს ვალიუტა არა გვაქვს, აღარ გვაქვს არც ქაღალდის ფულის ვალიუტა. ჩვენი ფულები სახელმწიფოს იძულებითი კურსს აღარ ემორჩილება. ფინანსებში ქაოსი და ანარქიაა. ეს მდგომარეობა ძირ-ფესვიანად უნდა შეიცვალოს.

ჩვენ უნდა გადავიდეთ საფინანსო სისტემაზე. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს შემდეგს: დღემდე ჩვენ ვარღვევდით საფინანსო სისტემას, დღეს კი უნდა შევქმნათ საფინანსო სისტემა; ფულის კურსს უყურადღებოთ ვსტოვებდით, დღეს ფულის კურსი უნდა მივიჩნიოთ მთელი ჩვენი ეკონომიკის ესენციად. ჩვენ უნდა შევქმნათ ფული. ფულია სარკე და საფუძველი ჩვენი კულტურის. ვიდრე არ გვექნება ფული—მათხოვრობასაც ვერ მოვიშორებთ.

4 წლიწადია ფულზე არ ვიყავით ასეთი შეხედულების. ეხლა ეს თვალსაზრისი უნდა მოვიმარჯვოთ, წინ წავიმძღვაროთ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამ მხრივ ჩვენ გვიშლის მოქმედების საერთო სარბიელს; წვრილმანები და ცხოვრებაში მისი დევიზის გატარება ჩვენი მოვალეობაა. ჯერ ამ შემთხვევაშიაც ცხვირ წინ აღმართული გვაქვს ზოგიერთი შაბლონები, რომელიც ხელს გვიშლის მუშაობაში. საფინანსო პოლიტიკამ არ იცის დოგმები და შაბლონები, იგი ცოცხალი საგანია ადამიანის შემოქმედებაში, მოძრავი, ელასტიური. თუ პრინციპი აშკარაა, მისი ლოდიკური განვითარების არ უნდა შეგვეშინდეს.

დავიწყოთ ერთ დაბრკოლებიდან, რომელიც ხელს გვიშლის ეხლავე დაგვემყარებია ჩვენი ფულის სტაბილური კურსი.

თედო დღოსტი.

## სახელმწიფო და დაზღვევის საქმე

სახელმწიფოს ცხოვრებაში არის სახალხო მეურნეობის იმისთანა დარგი, ურომლისოდ არც ერთს თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია, ამ დარგს წარმოადგენს საზოგადოთ დაზღვევის საქმე. სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის სდგას დაზღვევის საქმეო, ამბობს პროფ. დიურინგი. ეს ერთობ რთული, ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისით, საქმე სამწუხაროდ მიყრუებულია ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც შენდება შრომის სახელმწიფოს პრინციპზე.

რას წარმოადგენს საზოგადოთ დაზღვევის საქმე? უმეცარი მოქალაქის შეხედვით, დაზღვევის საქმე წარმოადგენს უბრალო ვაჭრულ აღებ-მიცემობას დიდის მოგებით, ე. ი. გარდაიხადე მაგალითად ასი მანეთი პრემია რაიმე შემთხვევის გარანტიად და მიიღე კი შემთხვევის ასანაზღაურებლად ათი ათასი მან. მაგრამ ეკონომიური მეცნიერების თვალსაზრისით „დაზღვევა წარმოადგენს იმისთანა სამეურნეო ოპერაციას, რომელიც შეიცავს განაწილებას რამოდენიმე სამეურნეო ერთეულს შორის, იმისთანა ზარალს, რომელიც ხდება რომელიმე მეურნეობაში იმისთანა შემთხვევის გამო, რომლის წინასწარ გათვალისწინება ყოვლად შეუძლებელია“. ეს არის შემეცნება საზოგადო საყოველთაო და საერთაშორისო საურთიერთო დახმარების მოწყობისა, რომელიც მიმართულია საზოგადოთ ეკონომიური წყობილების გასაუმჯობესებლად სოციალური სხვა და სხვა ცუდი პირობების აღკვეთით, რათა ამით სახალხო მეურნეობა დაცული იქნეს სხვა და სხვა კატასტროფიული შემთხვევების შედეგებისაგან და ისეთი მოვლენებისაგან, რომელნიც ცუდათ და ნგრევით მოქმედობენ შრომაზე და კაპიტალზე.

თითქმის ამ სახით, ამ რამოდენიმე წლის წინად, პეტროგრადში დაზღვევის მეცნიერების საზოგადოებაში ეკონომისტებმა და მეცნიერ სპეციალისტებმა შეიმუშავეს ფორმულა, რომელიც სავსებით გამოხატავს დაზღვევის მეცნიერების ბუნებას და შინაარსს.

აი, როგორი ძნელს და რთულს საგანს წარმოადგენს დაზღვევის საქმე! შეუძლია თუ არა სახელმწიფოს ამისთანა რთული საქმის მოწყობა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე? სახელმწიფოს, მაგალითად, არ შეუძლია შექმნას ხელოვნება, მაგრამ საზოგადოთ კულტურულ დარგებში სახელმწიფო ვალდებულია შეავსოს თავის მხრივ თავისუფალი ინდივიდუალური მოქმედება, როგორც მოგვითხრობს ცნობილი პროფ. ელინეკ. დაზღვევის საქმეს უყურებს როგორც საზოგადო მოთხოვნილებას პროფ. ვაგნერიც და მოგვითხრობს, რომ ეს საზოგადო მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ და ეს საქმე უნდა იდგეს კერძო ინდივიდუალური თვითნებობის გარეშე.

მაშასადამე, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს დაზღვევის საქმის მოწყობაში და შექმნას იმისთანა აპარატი რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება ამ საქმის სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მოწყობა.

აი, სწორედ ამ თვალსაზრისით შეხედა ამ საქმეს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, რომელსაც, რასაკვირველია, უფრო ნათელი წარმოდგენა აქვს ამ დიდათ უსაჭიროეს საქმეზე სახალხო მეურნეობაში.

წარსული წლის 6—ოქტომბერს გამოსული დეკრეტის ძალით (მუხ. 7) ნარკომფინთან არსდება სახელმწიფო დაზღვევის უმთავრესი სამართველო, რომლის განკარგულებაში გადადის დაზღვევის მთელი საქმე. პირველ რიგში შემოღებული უნდა იქნეს უძრავ-მოძრავი ქონების ცეცხლისაგან თავისუფალი (არა სავალდებულო) დაზღვევა (მუხ. 2). შემდეგ, როდესაც თავისუფალი დაზღვევის ტეხნიკური აპარატი სრულიად მოეწყობა და გამაგრდება, შემოღებული უნდა იქნეს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა, რომელიც გავრცელებული იქნება ყველა კერძო მესაკუთრეებზედაც. სავალდებულო დაზღვევის შემოღების ვადას ნიშნავს სახელმწიფო დაზღვევის უმაღლესი სამართველო (მუხ. 3). დაზღვევა ან გადაზღვევა უცხო ქვეყნების საზოგადოებებში აკრძალულია სახ. კომისრების საბჭოთა ნება დაურთველად (მუხ. 6). ეს სწორედ ასედაც უნდა იყოს, ერთი რომ, ამ შემთხვევაში იბადება კითხვა იურიდიული კომპეტენციისა, ვინაიდგან უცხოელები არ მოისურვებენ რომ რაიმე პრეტენზია განიხილოს სხვა სახელმწიფოს დაწესებულებაში; მეორე ისა, რომ უცხო სახელმწიფოებთან არ არსებობს ეგრეთ წოდებული დაზღვევის კონვენცია, რის გამოც დამზღვევლობა სრულიად უნდა დაემორჩილოს უცხოელის თვითნებობას; მესამე ის, რომ დაზღვევის მთელი კაპიტალი უც-

ქველად უნდა გადავიდეს უცხო ქვეყნის ხელში.

აი, სწორედ ეს სამი მოსაზრებანია მიღებული მხედველობაში, როცა მოსკოვის მთავრობა დეკრეტით აღკრძალავს უცხო ქვეყნების დამზღვევი ორგანიზაციების მოქმედებას რუსეთში.

ზემოხსენებული დეკრეტის ძალით წარსული წლის 14 და 29 ნოემბერს შემუშავებული იქნა დადგენილება, რომლის ძალით დაევალა სახელმწიფო დაზღვევის უმაღლესს სამართველოს შემუშავება და გამოცემა ტარიფების და აგრეთვე მეცნიერულად შემუშავება დაზღვევის სხვა და სხვა ფორმებისა. ამასთანავე შემუშავებული უნდა იქნეს დროებითი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა მოეწყოს დაზღვევის საქმე მთელს რუსეთში.

ცეცხლისაგან დაზღვევასთან ერთად უნდა იქნეს შემუშავებული საქონლის ქირისაგან დაზღვევა, მოსავლის—სეტყვისაგან და აგრეთვე ტრანსპორტის დაზღვევა (ხმელეთით და წყლით).

ვინაიდან დაზღვევის საქმეს ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ცხოვრებაში და ყოველივე მხარე სახალხო მეურნეობისა უეჭველად დამოკიდებულია ამ საქმეზე, მოსკოვის მთავრობამ დაადგინა, რომ სასწრაფოდ გატარდეს ორგანიზაცია ამ ერთობ რთული სახელმწიფო აპარატისა. ამისათვის მოწვეულნი არიან და იწვევენ სპეციალისტებს. ამ საქმის მოწესრიგება რუსეთს, რასაკვირველია, უფრო ადვილად შეუძლია ვიდრე ჩვენ, რადგან მას დიდძალი ინტელექტუალური ძალა ჰყავს და ამ ძალის დახმარებით შეუძლია სულ მოკლე ხანში შექმნას დიდი აპარატი სახელმწიფოებრივი დაზღვევისა.

რა კეთდება დღეს ჩვენში, საქართველოში, ამ ნიადაგზე? ჯერ-ჯერობით სამწუხაროდ არაფერი. აიხსნება ეს იმით, რომ ჩვენ ალბად არ გვაქვს წარმოდგენილი ამ საქმის დიდი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში. ამასთანავე ისიც უნდა იყოს მიზეზი, რომ მთელ საქართველოში ამ საქმის თეორეტიულად და პრაქტიკულად მცოდნე დიდი-დიდი თუ მოიპოვება ორი კაცი.

აიღეთ მაგალითად იმისთანა დაწესებულება, როგორიც უმაღ. სახ. სამეურნეო საბჭო, რომელიც იჯარით აძლევს ფაბრიკებს და ქარხნებს. იჯარის პირობაში დაზღვევის პუნქტიც არის შეტანილი, მაგრამ რისთვის, ეს კი გაუგებარია. მარტო ამ პუნქტის გამო ვერავითარ გარანტიას მოიჯარადრე, რასაკვირველია, სახელმწიფოს ვერ მისცემს. შეიძლება რომელიმე უცხოელი დამზღვევი საზოგადოება ფარულად მოქმედობდეს ჩვენში. მაგრამ ეს ხომ, ერთის მხრივ, არავითარ გარანტიას არ წარმოადგენს სახელმწიფოსათვის (ამის ახსნა ზევით არის მოყვანილი).

აიღეთ მეორე მაგალითი. სახალხო ბანკში არის დაარსებული ეგრედ წოდებული თვითდაზღვევის ფონდი, სადაც სავალდებულოა დაზღვევა ყველა იმ საქონლის, რომელზედაც ბანკს სესხი აქვს გაცემული. ეს საქმე წარმოებს, ეგრე ვსთქვათ, ზეპირად და არავითარ გარანტიას არ წარმოადგენს დაზღვევის მეცნიერების თვალსაზრისით.

ახალი ეკონომიური კურსის გატარება ყოვლად შეუძლებელია, თუ დაზღვევის საქმე არ მოეწყო სახელმწიფოებრივ საფუძველზე. არც ტრანსპორტი და არც სხვა რაიმე დარგი სახალხო მეურნეობისა არ იქნება არავითარ გარანტიით მოცული, თუ დროზედ არ მოეწყო მძლავრი სახელმწიფოებრივი დაზღვევის ორგანიზაცია, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოდ ეკონომიური წყობილების გასაუმჯობესებლად.

ქ. მ.

# ორი გზა

განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში, ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიისათვის რამდენიმე გზის შესაძლებლობა ისახება, რომლითაც მას შეუძლია მიმართოს პოლიტიკის გეზი.

დღეს, როდესაც რევოლუცია-რეაქცია მსოფლიო მაშტაბში ერთმანეთ უპირისპირდება, როდესაც ორი სამყარო ერთმანეთს ებრძვის და მთელ თავის ენერგიას უშვებს ამ ბრძოლის პროცესში, ასეთ დროს სოციალისტური პარტიის წინაშე სდგას ორი გზა.

პირველი გზა—რევოლუციის ნიადაგზე დგომა და რეაქციის დაპირისპირება. ეს გზა ერთად ერთი მისაღები გზაა სოციალისტური პარტიისათვის. მაგრამ აქ სხვა ხასიათის საკითხიც სდგება. საჭიროა არა მარტო რევოლუციის ორიენტაციის მიღება, არამედ იმ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობათა გათვალისწინება, რომელიც დასაყრდენია რევოლუციისა და რომელიც გამარჯვებას უმზადებს რევოლუციურ პროცესს.

მენშევიზმი, ორტოდოქსალ მარქსიზმის ტიპიკონით მავალი თანამედროვე ისტორიულ მომენტში, შეუძლებლად სცნობს რევოლუციის გამარჯვებას. იგი კაპიტალიზმის დეგრადაციის პოლიტიკას კი არ მიითხოვს, არამედ მისი რენესანსის აუცილებლობას აყენებს. მენშევიზმისათვის ევროპის მუშათა კლასი და ევროპის კაპიტალისტური კულტურა, არაა საკმაო ბაზა სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის. ამიტომ იგი მოითხოვს არა კაპიტალიზმზე თავდასხმას, არამედ მის სამსახურს, მის გამაგრებას, გაჯანსაღებას.

თუ რამდენად შემცდარია ეს გზა თეორიულად, ან რამდენად დამარცხებულია პრაქტიკულად, ამის შესახებ არას ვიტყვით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კაპიტალიზმის რენესანსის მიღება, არსებითად ნიშნავს კაპიტალიზმის აღიარებას მარადიულ და ლოღიკურ კათეგორიათ.

კაპიტალიზმის განვითარებამ მოგვცა ფინანსიური კაპიტალის სხვა საგარეო პოლიტიკაში. ამ ნიადაგზე აღმოცენდა იმპერიალიზმი, რომელსაც შედეგად მოჰყვა მილიტარიზმი და მარინიზმი. ამ უკანასკნელმა გამოიწვია კაპიტალიზმის დეგენერაცია. კაპიტალიზმის დეგენერაციის ეპოქაში, თუ ისევ კაპიტალისტური მეურნეობის წესით შეუდგეთ საზოგადოებრივი მეურნეობის გამართლებას, დაიწყება ხელ-ახალი პროცესი, „პროცესი კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადასვლისა, იმპერიალიზმის მილიტარიზმში და მარინიზმში განსახიერებისა და ამ უკანასკნელის წყალობით დადგება ეპოქა ისევ კაპიტალიზმის დეგრადაციისა. მაშასადამე ეს ბრუნვა კაპიტალიზმს მარადიულ კათეგორიის ხასიათს აძლევს, რაც შეცდომაა, როგორც თეორიულად, ისე უტოპიაა პრაქტიკულადაც.

მაშასადამე ეს გზა მენშევიზმისა, გამომდინარე ორტოდოქსალი მარქსიზმის კონცეპციიდან, მიუღებელია როგორც საზოგადოდ, ისე კერძოდ სოციალ-ფედერალიზმისათვის.

ამიტომ სოციალ-ფედერალიზმისათვის რჩება პირველი გზა რევოლუციის მიღებისა. ეს ლოღიკური აუცილებლობით გამომდინარეობს სოციალ-ფედერალიზმის თეორიისაგან, აქტიური სოციალიზმის პრინციპებისაგან.

ჩვენთვის სოციალიზმი არასოდეს არ იყო მხოლოდ ისტორიის მექანიკის აუცილებელი დანასკვი, თანახმად ჰეგელიანური ტრიადის მოძრაობისა. ჩვენთვის სოციალიზმი იყო ეთიური იდეალი, სასურველი სოციალური ცხოვრების გარდაქმნისა. ჩვენი გზა სოციალიზმისაკენ იყო და არის არა გზა კაპიტალიზმის რენესანსისა, არამედ გზა მისი დეკადანსისა. ჩვენი თეორია კაპიტალიზმის განვითარების, მის გამაგრების თეორია კი არ იყო, არამედ კაპიტალიზმზე თავდასხმის, მის წინაამდეგ აქტიური ბრძოლის თეორია იყო. აქტიური სოციალიზმის პრინციპები რევოლუციური ბრძოლის გზით მიდის სოციალიზმისკენ და სოციალისტურ ელემენტთა ჩასახვით ნიადაგს უმზადებს სასურველ სოციალ ფორმაციის დამყარებას.

რადგან ასეთია ჩვენი გაგება ისტორიული პროცესის, რადგან ასეთია ჩვენი შემეცნება სოციალურ ძალთა ქმედილის და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, აქედანვე შეფასებული უნდა იქმნეს ყოველი კონკრეტი მოვლენა საზოგადოებრივი წიაღიდან აღმოცენებული. ამიტომ, როდესაც ჩვენს წინაშე სდგას ლაბირინტი თანამედროვე მდგომარეობისა, ჩვენთვის საჭიროა იმ ძალის გამონახვა მსოფლიო ძალთა კონცერტში, რომელიც რევოლუციონური გზით იბრძვის კაპიტალიზმის წინაამდეგ და აწარმოებს სისტემატიურ თავდასხმას კაპიტალის მაგნატებზე. ეს არის უმთავრესი დებულება, რომელიც გვაკავშირებს ჩვენ თანამედროვე მოძრაობასთან. მხოლოდ ეს ერთი მომენტი, მომენტი კაპიტალიზმის წინაამდეგ აქტიური ბრძოლისა არის საერთო წერტილი ყველა სოციალისტურ მიმართულებათა პოლიტიკურ პლატფორმასთან, რომელნიც ამავე დებულების ნიადაგზე დგანან და ამ დებულების თანახმად აწარმოებენ ბრძოლას კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ.

ე. ი. ეს გზა არის პირველი გზა სოციალ-ფედერალისტური მხედველობისა თანამედროვე ისტორიულ მომენტში. მაგრამ შესაძლებელი ყოფილა მეორე გზის არჩევაც, რომელსაც მემარჯვენე ფედერალისტები ადგას, მეორე გზა რევოლუციის პროცესის დეტალური განხილვას და ამ პროცესის დეტალური შტოების მიუღებლობას ემყარება. ასეთი შტოებია მაგ. კომუნისტური პარტიის უზეირო პოლიტიკა ეროვნულ საკითხში და სხვა.

მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხის ჩარჩოები უფრო ფართოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი. პარტიამ, რომელიც არ ეთანხმება რევოლუციის ხელმძღვანელ პარტიის პრაქტიკულ პოლიტიკის ზოგიერთ სფეროში საკითხი უნდა დასვას ან წარმოება შესცვლას პოლიტიკისა, ან წარმოება შესწორების პოლიტიკისა.

პირველის მიღების დროს პარტია ისევ არსებული მოძრაობის ნიადაგზე რჩება, იბრძვის მხოლოდ იმ პრაქტიკის წინააღმდეგ, რაც არ შეესაბამება, არ ეთანხმება პარტიის მხედველობას, მის თეორიას.

მეორე შემთხვევაში პარტია გამოდის არსებული მოძრაობის წინააღმდეგ და დიამეტრალურ მოწინააღმდეგე ბანაკს წარმოადგენს. მაგრამ ასეთი პოლიტიკის წარმოებისათვის ახალი საკითხი ისმის, ან [illegible] რევოლუციისა, რომელიც [illegible] პარტიის მხედველობის [illegible] წარმართვა, ან ხელმძღვანელობა სოციალური მოძრაობისა [illegible] დაცვა პარტიის [illegible] კონცეპციების [illegible].

აქ კი ისმის ალტერნატივა, რომელსაც პოლიტიკურმა პარტიამ აუცილებლად პასუხი უნდა გასცეს, შეუძლია თუ არა ეროვნულ-სოციალისტურ პარტიას მსოფლიო რევოლუციის ხელმძღვანელობა? უდიდესი შეცდომა, უდიდესი უტოპია იქნება ეროვნულ-სოციალისტური პარტიისათვის მსოფლიო რევოლუციის ხელმძღვანელობაზე ოცნება.

მაშასადამე იგი ლოღიკური აუცილებლობით მეორე ალტერნატივის წინაშე სდგება. ან ხელის აღება სოციალურ მოძრაობაზე საერთოდ, ან და მიღება ისეთი რევოლუციის, რომელიც ეთანხმება პარტიის მხედველობას ისტორიულ პროცესის გაგებაში.

სხვა გამოსავალი არ არის ეროვნულ-სოციალისტური მიმართულებისათვის, მაგრამ რევოლუციის ნიადაგზე დგომა არ უნდა მივიღოთ როგორც რევოლუციის მესვეურ პარტიის ნიადაგზე დგომად. რევოლუცია და პარტია, პარტია და რევოლუცია, არასოდეს არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში, „შეიძლება ამა თუ იმ რევოლუციის პროცესში რამდენიმე პარტია დამარცხდეს, გაირიყოს რევოლუციიდან, მაგრამ რევოლუცია რევოლუციად დარჩეს. კარლოს კაუცკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ პარტია და რევოლუცია სხვა და სხვა ცნებანი არიან. ამიტომ დგომა რევოლუციის ნიადაგზე შესაძლებელია და აუცილებელი სოციალ-ფედერალიზმის მხედველობისათვის, მაგრამ ამავე დროს საჭიროა ბრძოლა მეორე ფრონტზე. ეს ფრონტი ეროვნული პოლიტიკის ფრონტია. საერთაშორისო მოძრაობის მიზნები ისევე დიდია, როგორც მისი ხელმძღვანელი სუბიექტის ძალა. ეროვნულ-სოციალისტური პარტიისთვის უმთავრესად ერის ფარგლებში მოქმედებაა აუცილებელი პატარა ერის ინტერესებით განსაზღვრული საერთაშორისო რევოლუცია და ამავე ერის წიაღში ხელმძღვანელობა სოციალისტური მშენებლობის—აი ასეთია ეროვნულ სოციალისტური პარტიის ხვედრი პარტიათა შორის. ეს ხვედრი უდიდესი და უძნელესი მოვალეობაა ეროვნულ-სოციალისტური მიმართულებისა.

მაშასადამე პირველი გზა სოციალ-ფედერალისტური მხედველობისა, არის ჩვენი გზა. მეორე გზა არის მემარჯვენე ფედერალისტების გზა. მათი ლოღიკუ-

# რევოლუციის მოლოდინში

(თანამედროვე სილუეტები),

* *

თანამედროვე ეპოქას უმთავრესად ახასიათებს რღვევის მომენტები. საერთაშორისო ომმა დაღუპა, დაამსხვრია მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი სიმდიდრე და დოვლათი, მსხვერპლად შეიწირა 20 მილიონიანი ადამიანის სიცოცხლე, გაანადგურა საწარმოო ძალები, დაშალა საერთაშორისო ტრანსპორტი, დაარღვია წინად არსებული ურთიერთობანი: ომის პროცესში გატყდა და მსოფლიო ეკონომიკის მექანიკა და დაირღვა მეურნეობის საერთაშორისო ორგანოები. ომი რღვევა განადგურებაა, არსებული დოვლათის განიავება. ომი ხელს უწყობს არა საწარმოო იარაღების შექმნას, არამედ მის გასანადგურებელ საშუალებების გამზადებას; კრუპპი და შნეიდერი საერთაშორისო დოვლათი გამანადგურებელი დაწესებულებანი იყო. ომმა მსოფლიოს ეკონომიური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება რამოდენიმე ათეული წლებით დააქანა უკან.

მაგრამ საერთაშორისო ომმა მოგვცა საერთაშორისო რევოლუცია. მსოფლიო დღეს რევოლუციის ცეცხლით სუნთქავს. კაცობრიობის ყოველ კუთხეში, ყოველ მიხვეულ ადგილას ღვივის რევოლუციის ამგიზგიზებელი ცეცხლი. რა არის რევოლუცია? ისიც რღვევაა, განადგურებაა, მხოლოდ მეორეს მხრით. ომმა თუ მექანიკა გასტეხა კაპიტალიზმისა და მისი სოციალური საფუძვლები ხელუხლებელი დასტოვა, რევოლუცია კაპიტალიზმის ფუძეებს ამსხვრევს, ლეწს ძველი სოციალური ურთიერთობის გზას, ანადგურებს კაპიტალისტური მეურნეობის მთავარს საძირკვლებს. რევოლუცია გარდაქმნა ძველი სოციალური დამოკიდებულების, გარდაქმნის პროცესში იმსხვრევა და ილეწება ძველი, თანდათანობით ნიადაგი ეცლება ამას.

რღვევა ახასიათებს თანამედროვე ეპოქას, ომიც და რევოლუციაც ამსხვრევენ კაპიტალისტური მეურნეობის რგოლებს.

ასეთს განადგურების პროცესში არის კაცობრიობა მთელი რვა წლის განმავლობაში; წარსულის საშინელი მოგონებანი ახასიათებს თანამედროვე კაცობრიობას, მომავალში არა ნაკლები საშინელი წარმოდგენები იშლებიან მის წინ. ფსიხიკა თანამედროვე ადამიანისა, ამ საშინელი მოგონებებითა და წარმოდგენებით იკვებება. მის წინ აუცილებელი გარდუვალი რღვევის გზა არის გადაშლილი, თანამედროვე ადამიანი ამ შემზარავი მომავლის წინაშე სდგას და გატეხილი ნებისყოფით, დაღლილი გრძნობებით მოელის თავის ბედისწერას.

ბურჟუაზიულმა აზროვნებამ დასრულებული სისტემა მოგვცა ამ განადგურების პროცესში მყოფ კაცობრიობის შესახებ. ეს იდეოლოგია გარკვევით გამოსახავს თანამედროვე ბურჟუაზიულ ინტელიგენციის სულისკვეთებას, მის წარმოდგენებს და გრძნობათა მოძრაობას, ინტელიგენცია ნათლად და გარკვევით ხედავს, რომ კაპიტალიზმმა თავისი იმპერიალისტური ფორმაციებით უდიდესი „საფრთხე აღუმართა მთელს კაცობრიობის ცივილიზაციას, მის ჰადარისან საუკუნოებში შექმნილ კულტურას. იმპერიალიზმმა კაცობრიობა იმ ქუჩაბანდში შეიყვანა, საიდანაც მას თავისუფალი გამოსავალი გზები არ აქვს.

კაცობრიობას მოელის მხოლოდ რღვევა და განადგურება, მუდმივი ანარქია და რევოლუციონური ტეხილები. გზა მშვიდობიანი ცხოვრებისა იმპერიალიზმმა ამოკოლა თავისი მსვლელობით, თავისი ტენდენციებით.

„იღუპება ცივილიზაცია", „დასავლეთ-ევროპის ცივილიზაცია დაცემის პერიოდშია". (შპენგლერი), „ევროპა გარკვევით მიექანება დაცემისაკენ. და ეს დაცემა სრულებით არ არის დროებითი და შემთხვევითი, არამედ ხანგრძლივია და გამომდინარეობს მისი (ევროპის) ცხოვრების რაობიდან" (გრიმი); აი ის დასკვნები, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის [illegible]იებმა მოგვცა, თანამედროვე კულტურის ვითარების შესახებ. ამ იდეოლოგიას ახასიათებს შეგნება თანამედროვე ევროპის კულტურის დაცემის აუცილებლობისა.

ოსვალდ შპენგლერი თავის ცნობილ წიგნში („Закат Европы") მეცნიერულად ამტკიცებს ევროპის კულტურის დაკნინებას და სიკვდილს. ეს პროცესი კულტურის გადაშენებისა მთელი თავისი საშინელი მოძრაობით ჩვენს თვალწინ ვითარდება და ჩვენ შეგნებული მაყურებელი ვხდებით ასეთი უბედურებისა.

„სიკვდილის ხანაში,—ამბობს შპენგლერი,—ანტიურმა ქვეყანამ არ იცოდა, რომ ის კვდებოდა და ამიტომ სტკბებოდა სიკვდილით, ყოველი წინა დღით, როგორც ღმერთების საჩუქრით. ჩვენ მოვკვდებით შეგნებულად ისე, რომ ყოველგვარ გახსნის პროცესს გამოცდილ ექიმის თვალით დავინახავთ", შპენგლერი შესანიშნავად აღნიშნავს იმ მთავარ მომენტებს, რომელიც ანტიურ ქვეყნების სიკვდილისა და კაპიტალისტების კულტურის დეგრადაციის, გადაშენების შორის არსებობს. თანამედროვე კაცობრიობამ იცის და გრძნობს, რომ იგი საშინელი განადგურების პროცესში იმყოფება, რომ მის მიერ შექმნილს საუკუნოების განმავლობაში კულტურას აუცილებელი სიკვდილი მოელის; ამ მდგომარეობის შეგნება ამსხვრევს მის ნებისყოფასა და საშინელი ეჭვებით მოსავს მისს სულს. აქედან წარმოსდგა ფილოსოფიური სკეპტიციზმი და ფილოსოფიისათვის დარჩა მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ამტკიცებს შპენგლერი ეს არის სკეპტიციზმი. ავტორი ამბობს „სისტემატიური ფილოსოფია ჩვენთვის ამ ჟამად დაუსრულებლივ შორს არის, ეთიური კი დასრულებულია. მან ამოსწურა ცოდნა ჭეშმარიტ ფილოსოფიურ შესაძლებლობისა. დარჩა მხოლოდ მესამე, რომელიც ეთანაბრება ელინურ სკეპტიციზმს. მაგრამ განსხვავებით ელინურ სკეპტიციზმთან, რომელიც არა ისტორიულია თანამედროვე სკეპტიციზმი უმდრესად ფსიხოლოგიური და ისტორიულია მორფოლოგია მსოფლიო ისტორიისა აუცილებლობის სახით იქცევა უნივერსალურ სიმბოლიკად...

ოსვალდ შპენგლერმა დასრულებული სკეპტიკური ფილოსოფია მოგვცა, რომლის საფუძვლები თანამედროვე ისტორიულ ცხოვრების ვითარებაში მარხია ე რომელსაც უიმედობით კვებავს თანამედროვე ცივილიზაციის აუცილებელი მომავალი. მაგრამ შპენგლერი უმთავრესად ფილოსოფიის—იდეალისტია ე იგი სარგებლობს თანამედროვე სოციალური ცხოვრებითა, ე პოლიტიკური ფაქტორებით, რამდენადაც ეს საჭირო მისი ფილოსოფიური დებულებების გასამაგრებლად. მაგრამ შპენგლერის ფილოსოფიური დასკვნა თანამედროვე ცივილიზაციის დეკადანსის შესახებ ღრმა სოციალ-პოლიტიკურ ღირებულების იერს იღებს ე გვაიძულებს პრაქტიკული გზები დავეძებოთ. გარეშე სკეპტიციზმისა და რელიგიურ მეტაფიზიკური სიბრძნისა კაცობრიობის გადარჩენისათვის. შპენგლერის დასკვნები, მისი შეფასება თანამედროვე ცივილიზაციის მდგომარეობისა იდეოლოგიურად აკოტრებს ყველა იმ რეფორმატორებს, რომელნიც თანამედროვე კულტურის გაჯანსაღებას კაპიტალიზმისავე გზით ცდილობენ და ვერ ხედავენ, რომ კაპიტალისტური კულტურა დაბერდა, გაიხრწნა და განადგურების გზაზედ სდგია. შპენგლერმა გარეშე ყოველგვარი რევოლუციის და სოციალისტური საზომისა, განსჯა თანამედროვე ცივილიზაცია ისტორიულის, ფილოსოფიურისა და სოციოლოგიურის შეფასებით და ის დასკვნები მოგვცა, რომელსაც გვაძლევს რევოლუციონური სოციალისტური აზროვნება. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს რევოლუციონური სოციალიზმის იდეოლოგიურს სიძლიერეს, თან საფუძვლიანობას.

მაგრამ ფილოსოფოს-შპენგლერის, ესე ვსთქვათ, პოლიტიკურს დასკვნებს ეთანხმებიან არა მარტო იდეალისტ-მეტაფიზიკოსები, „რომელნიც ინდივიზმის რელიგიური შეხედულებით ირთობენ თავს, არამედ უაღრესი პრაქტიკოსები და ლიბერალური ყაიდის ეკონომისტები.

თანამედროვე კულტურა თავისი შინაგანი რაობით არის დაავადმყოფებული. კაპიტალიზმის განვითარებამ, იმპერიალისტური პოლიტიკის გამანადგურებელმა მოქმედებამ დასცა ბურჟუაზიული ევროპა, დაამსხვრია მისი არსებობის მექანიკა, დაუკარგა მას შემოქმედებითი ელემენტი და კულტურა დეგენერაციის გზას დაადგა. ეს არის სოციალური ცხოვრების ფაქტორები, მისი შინაგანი ცხოვრების მოვლენები, მაშასადამე, „საგანი უმთავრესად პრაქტიკული ფილოსოფიისა და პოლიტიკის. თუ ამ მოვლენებს ამჩნევს და შეაფასებს შეფასების უმეტესად იდეალისტური ფილოსოფია, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის პრაქტიკულ თვალსაზრისითაც არ რჩება ეს მოვლენები შეუმჩნეველი და ისიც, თუმცა მოკრძალებით, მაგრამ მაინც აღნიშნავს თანამედროვე კულტურის კატასტროფიულს მდგომარეობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ინგლისის ვერსალის საზავო დელეგაციის წევრის ჯონ-მეირანდ კეინსის შეხედულობა, რომელიც მან გამოსთქვა ორი წლის წინეთ საზავო ხელშეკრულების შესახებ. თავის სახელგანთქმულ წიგნის („ზავის ეკონომიური შედეგები") წინასიტყვაობაში „ავტორი ამბობს სხვათა შორის: „კონტინენტალურ ევროპაში ნიადაგი ირყევა და არავინ არ არის, რომელსაც არ ესმოდეს გუგუნი. აქ საქმე შეეხება არა გაფლანგვასა და „მუშათა უწესრიგობას", არამედ სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხს, სიმშილით გადაშენებასა და არსებობს, მომაკვდავი ცივილიზაციის საშინელს ციებ ცხელებას". იდეალისტი ოსვალდ შპენგლერი და პრაქტიკოს-ფინანსისტი მეირანდ კეინსი ერთის ენით ლაპარაკობენ: მათ მსჯელობაში და ლოღიკურ არგუმენტაციაში ძირიანი განსხვავებაა, მათი დასკვნები კი მომაკვდავ ცივილიზაციის ციებცხელებას აღნიშნავენ. ეს დასკვნები და ფაქტიური არგუმენტაცია უდიდეს პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენს ე დაჟინებით გვაუწყებს, რომ კაპიტალისტური კულტურის გამომრთელება შეუძლებელი არის ბურჟუაზიის „რეცეპტით, რომ მას ახალი დოსტაქარი და ახალი წამალი ესაჭიროება, რომელიც ძირიანად გარდაქმნის მისს სოციალურს საფუძვლებს.

სიმონ ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გამოსავალია ან მსოფლიო რევოლიუციის მესვეურობა ან სოციალური მოძრაობის უარყოფა საზოგადოდ და, მაშასადამე, სოციალიზმზეც ხელის აღება, პირველი გზა მათ ძალას აღემატება, მეორე კი არსებითად დღესაც ნათელია.

ასეთია ის ორი გზა, რომლის წინაშე სდგას ყოველი მოაზროვნე სოციალისტ-ფედერალისტი. სხვა გზა არ არსებობს სოციალისტ-ფედერალისტისთვის და არც შეიძლება არსებობდეს.

ან მიღება რევოლიუციონური მოძრაობისა, რომელიც კაპიტალიზმის ნგრევის გზით მიემართება სოციალიზმისაკენ, ამ შემთხვევაში ბრძოლა ხელისუფალთა პრაქტიკული პოლიტიკის დეფექტების წინააღმდეგ, ან არ მიღება არც ერთი რევოლიუციური მოძრაობის, რომლის ხელმძღვანელი არ გახდება მემარჯვენე ფედერალისტები.

ასეთია ეს გზები, რომელთა ჯვარედინზე სდგას საბედისწერო ქანდაკება შემდეგი წარწერით: „მარცხნით წავალ ეკალხარით არის მოფენილი გზა, დრეკლდეების უკუსკრულნი სიკვდილის ღმერთის სამფლობელოს წარმოადგენს, ხოლო შორს კი იცდის ნაზი ქალწული —ემბლემა სათნოებისა, ძმობისა და სიყვარულისა; მარჯვნივ წავალ ჩვეულებრივ გზას გავყვები არსებულს შევურიგდები, არც ბრძოლაა საჭირო, არც თავდადება. მოსვენება და ტკბილი ძილი საკმარისია, ხოლო შორს კი იცდის შიმშილის აჩრდილი, გაძვალტყავებული ხალხი, უფლება აყრილი და დამონებული კაცობრიობა, უნუგეშო და უპატრონო მსოფლიო. შევურიგდები?—განახვენე“.

ს. გ—ლი.

## † სილიბისტრო ჯიბლაძე

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის (მენშევიკები) გამოესალმა ცნობილი რევოლიუციონერი, ლიტერატორი და მოღვაწე სილიბისტრო ჯიბლაძე. არა მარტო საქართველოს მშრომელი ხალხისათვის არის ცნობილი სილიბისტროს სახელი, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელი კლასისათვისაც.

სილიბისტრო ჯიბლაძე ერთი უპირველესი მებრძოლი იყო ჩვენს საზოგადოებაში, რომელმაც მეოთხმოცე წლებში ცხაკაიას, ჟორდანიას, ინგოროყვას, მახარაძის და სხვ. სახით შექმნეს ცნობილი მესამე დასი. დასელებმა რევოლიუცია მოახდინეს ჩვენს საზოგადოებრიობაში. მათმა ახალმა სიტყვამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართულს მწერლობაზე. მარქსიზმი, რომლის ორთოდოქსია წითელი ხაზივით გადილია მთელს ჩვენს ცხოვრებაში წარმოადგენდა საფუძველს პოლიტიკურ და კულტურულ ბრძოლისას.

ს. ჯიბლაძეს იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც დიდ ორგანიზატორს, მარქსიზმის მცოდნეს და თავგამოდებულ მებრძოლს. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში სილ. ჯიბლაძეს პირველი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ დაფასებულია მისი ღვაწლი.

სილ. ჯიბლაძე დაიბადა და დავაჟკაცდა, როგორც ეროვნულ საკითხის ნიჰილისტი. იგივე სილიბისტრო მოხუცებულობისას დაადგა ნაციონალურ მოძრაობის გზას.

სილიბისტრო ჯიბლაძემ ვერ გაიგო თანამედროვე მუშათა კლასის სახსოვლიო ამოცანები, ის აღარ იყო ამ კლასის შებაირაღტრე, მაგრამ მისი წარსული სავსეა ლამაზი სურათებით მუშათა კეთილდღეობისათვის ბრძოლებით.

სილიბისტრო მოკვდა, მაგრამ მისმა იდეამ გაიმარჯვა, ეს არის უძვირფასესი ძეგლი მისი მოღვაწეობის აღსანიშნავად.

მაგრი.

## ახალი ამბები

— თედო რაზიკაშვილის დაკრძალვა. დღეს, სრ. საქ. მწერ. კავშირის თაოსნობით ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი პოეტ თედო რაზიკაშვილის სულის მოსახსენებლად, რომლის შემდეგ განსვენებულის ნეშტი დაკრძალულ იქნება დიდუბის პანთეონში.

— ქალაქის საბჭოს სხდომა. ორშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (კიროვის ქუჩა) შესდგება ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების პლენუმის სხდომა, დღის წესრიგი: 1. საფინანსო საკითხი, 2. მოხსენება ქალაქში მომხდარ უკანასკნელ [illegible] ამბების შესახებ, 3. ტფილისის ქალაქის საბჭ. განათლების განყოფილების მოხსენება, 4. დელეგატების არჩევა სრ. საქართველოს ყრილობისათვის. წევრების დასწრება სავალდებულოა.

— ტრანსპორტზე მომუშავეთა ყრილობა. დრ. საორგანიზაციო ბიურომ, რომელიც ისახავს მიზნად ტრანსპორტზე მომუშავეთა განცალკევებულ პროფკავშირს, დაადგინა მოიწვიოს აპრილის 15 ს, ტრანსპორტზე მომუშავეთა პირველი ყრილობა. ყრილობის მოსაწვევად სწარმოებს ორგანიზაციული მუშაობა.

—პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ პროსტიტუციის წინააღმდეგ საბრძოლველ კომიტეტში საქ. კომ. პარტიის ქალთა განყოფილებიდან წარმომადგენლად დანიშნულია ამხ. ალანჯაროვისა.

— ახალი სარდალი არმიისა. ჰეკერის მოსკოვში გამგზავრების გამო, კავკასიის ცალკე არმიის სარდლად დანიშნულია ამხ. ეგოროვი, რომელიც უკვე მოემგზავრება ტფილისისაკენ. მის მესახვედრად სადგურში ჰაიმართება საპატიო აღლუმი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას კურსანტები აღმოსავლურ ბრიგადის და ქართულ სამხედრო სკოლისა.

— თესლი. გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის ანგარიშზე ნაყიდ 250 ათას ფუთ სათესლე ხორბლიდან, რომელიც დანიშნულია საქართველოში დასათესად მოვიდა ბათომში 50 ათასი ფ., რომლის მისაღებად გაგზავნილია მიწ. მოკ. სახალ. კომ. წარმომადგენელი. თესლის მაზრებზე განაწილება მოხდება ბათომში, საიდანაც გაიგზავნება დანიშნულ ადგილებში.

— საბჭოთა სახლები. ტფილისის აღმასკომთან არსებულ საბჭოთა სახლების მართველობა უქმდება და მოსამსახურეთა დ საკმაყოფილებლად ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გადებულია 370,146,302 მან. საბჭოთა სახლების ნაწილი იქნება გაცემული იჯარით და ნაწილი კი გადაეცემა პასუხისმგებელ ორგანიზაციებს.

— ფოთის ნავთსადგურში. 12 და 13 თებ., უამინდობის გამო, ნავთსადგურში შემოვიდა: რუსული შხუნა „კრომკა“ ბათომიდან, სამხედრო ნავი „პოლემდერი“ ტრაპეზუნდიდან, იალქნიანი ნავი „კრასნი ვოინ“ ნოვოროსიიდან და მოტორულ-იალქნიანი ნავი „კრასნი ვოდნიკ“.

— საფონდო ბირჟა. თებ. 18 საფონდო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში:

| | |
|---|---|
| ოსმ. ქაღ. ლირა | 240 |
| სტერლინგი | 1300 |
| დოლარი | 320 |
| მარკა გერმ. | 2,1 |

მოთხოვნილებაა უმთავრესად თათრულ ქაღალდის ლირისა.

## პარტიაში

კვირას, თებერვლის 19-ს საღამოს 5 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია შეერთებული კრება მთავარი კომიტეტის და ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭოს ფრაქციისა. დასწრება სავალდებულოა.

## რ უ ს ე თ ი

მოსკოვი. თებ. 16. თებერვლის 11-ს რკინის გზის სადგურებში მიტანილია 14 მილ. ფუთი თესლი, დატვირთულია 9 მ ლ. ადგილებში მიტანილია 1.700,000 ფ.

მოსკოვი, თებ. 16. რ. ს, ფ. ს. რ. სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ გერმანიაში, 1921 წ. უკანასკნელ მეოთხედის განმავლობაში, გაგზავნილია რუსეთში 59,000 ტონი სხვა და სხვა ტვირთი 72 ორთქლმავალის საშუალებით.

— 1921 წლის განმავლობაში ინგლისიდან შემოტანილია რუსეთში 4,778,000 გირ. სტ. საქონელი. ამავე პერიოდში გატანილ იქმნა ინგლისში საქონელი 1.600,000 გირ. სტ.

მოსკოვი. თებ. 6. „სასურსათო გაზეთს“ მოყავს შემდეგი ამონაწერი რ. კ. პ. ც. კ. დადგენილებიდან სპეცების შესახებ: „თუ ჩვენი ხელმძღვანელი ყველა დაწესებულებანი, ე. ი. კომპარტია, საბჭოთა ხელისუფლება და პროფკავშირები ვერ მიაღწევენ იმას, რომ ჩვენ, როგორც თვალის ჩინს, ვუფრთხილდეთ ყოველ სპეცს, რომელიც მუშაობს კეთილსინდისიერად, თავის საქმის შეგნებით და მისდამი სიყვარულით, თუ გინდ კომუნიზმისგან იდეურად იყოს დაშორებული, მაშინ არავითარ სერიოზულ წარმატებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. ჩვენ კიდევ არ შეგვიძლიან უცბად განვახორციელოთ, მაგრამ რაც გინდ დაჯდეს უნდა განვახორციელოთ ის, რომ სპეცები, როგორც ერთგვარი სოციალურ წრეს, რომელიც დარჩება ასეთად კომუნისტურ საზოგადოების უკანასკნელ საფეხურამდის განვითარებამდე, სცხოვრობდნენ უკეთესად სოციალიზმში, ვინემ კაპიტალიზმში მატერიალ უფლებრივის მხრივ, მუშებსა და გლეხებთან ამხანაგურ თანამშრომლობის საქმეში და აგრედვე იდეიურადაც“.

მოსკოვი. თებ. 16. ამერიკაში შესყიდული 2 ნახ. მილ. ფუთი თესლის პირველი პარტია მოვა ახლო მომავალში.

მოსკოვი. თებ. 16. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ესტონეთში შესყიდულია 300,000 ფ. შვრია და 100,000 ფ. ქერი. გამოგზავნა დაიწყება თებერვლის მეორე ნახევრიდან.

მოსკოვი. თებ. 16. მიწსახკომის რწმუნებულის მიერ რეველში შესყიდულია მნიშვნელოვანი რაოდენობა თესლისა, აგრედვე სხვა და სხვა საბოსტნე თესლი. შესყიდულის ნაწილით უკვე დატვირთულია ვაგონები რომლებიც იმყოფება გზაზე.

მოსკოვი. თებ. 16. ლონდონში წითლების მიერ დაწყებულია სიმინდის თესლის მომარაგება. თესლი გამოგზავნილი იქნება ახლო მომავალში. წითლები ყიდულობენ აგრეთვე ლობიოს და სხ. თესლს.

## უ ც ხ ო ე თ ი

გენუას კონფერენციის გარშემო.

რომი. თებ. 16. თებერვლის 11-ს დილით შესდგა სხდომა იტალიის მინისტრთა საბჭოს სხდომა ბონომის თავმჯდომარეობით. საგარეო საქმეთა მინისტრი დელა-ტორეტი, შეეხო რა გენუას კონფერენციის საკითხს, აღნიშნა, რომ კონფერენციის გადადება შესაძლებელია მცირე ხნით. ყველა წინასწარი მუშაობა კონფერენციის მოწვევის შესახებ სრული მსვლელობით მიმდინარეობს.

რომი. თებ 16. ხვალ შესდგება საუწყებათაშორისო სხდომა მთელ რიგ ფინანსიურ-ეკონომიურ საკითხების წინასწარ განსახილველად, რომელნიც უკვე დასმულია გენუას კონფერენციის პროგრამაში.

რომი. თებ. 16. ჰავასის სააგენტო იტყობინება: თუმცა ლოიდ-ჯორჯი პროტესტს აცხადებს გენუას კონფერენციის გადადებაზე, ამის და მიუხედავად უძრაველსობას ბრიტანეთის მთავრობისას მიაჩნია ორი კვირით გადადება სასურველად, რომ წინასწარ დასრულდეს ყველა სამუშაო, დაკავშირებული კონფერენციასთან.

## ქართული ენა საქართველოში

ერთი დიდი საკითხი, საკითხი ქართული ენის სახელმწიფოებრივ ენათ ქცევისა, კიდევ განუხორციელებელია. როდესაც სახელმწიფოში ესა თუ ის კანონი სასურველად არ ტარდება უნდა ვიგულისხმოთ—ან არ არის შესაძლებლობა, ან ხელისუფლებას კანონი გამოუცია შირმისათვის, ასე ვსთქვათ „სხვათა შორის“. რას მივაწეროთ ქართული ენის ასე დატოვებას? რა არის მიზეზი, რომ ის თანდათან იდევნება და მის ადგილს იჭერს რუსული? ვინც თვალს გადაავლებს ქართველ ინტელიგენტთა რიცხვს, რომლებიც არამც თუ ქართული ენის ცოდნით, არამედ თავიანთი სპეციალობითაც გამოდგებიან ამა თუ იმ დაწესებულებაში, ვინც მოიგონებს თუ როგორი ნაბიჯით მიდიოდა დაწესებულებების გაქართულება სამი წლის განმავლობაში, ის აუცილებლად იტყვის —არსებული ხელის უფლება ვერ იცავს ქართულ ენას, ვერ პატრონობს მას შესაფერისად. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს და მრავალ მნიშვნელოვანია საქართველოს ცხოვრებაში. თითქოს პარალელურად იდევნება ქართველობა დაწესებულებებიდან ქართული ენის დაცემასთან ერთად.

ცნობისათვის დავასახელებ ერთ დაწესებულებას. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო ადმშენებლობის კომიტეტი. ამ დაწესებულებას ბევრი განყოფილება აქვს: წყალშენი, სატყეო კომიტეტი, გზატკეცილების განყოფილება და სხვა. სულ შტატში ითვლება 121 კაცი. აქედან 37 ქართველი. ვინმე იფიქრებს ისეთ დაწესებულებას, როგორიც არის სახელმწიფო ადმშენებლობის კომიტეტი, ესაჭიროება ტეხნიკური ძალები, რომლების მოწვევა აუცილებელი არის. საქმე, რომ ასე იყოს ვინ ამოიღებდა ხმას, თუ სომეხი ან რუსი, ებლანდელ სამსახურის პირობებში, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ტეხნიკურ დარგში ხელს შეუწყობს საქართველოს ადმშენებლობას, მადლობის მეტი რა ითქმის. აქ საკვირველი ის არის, რომ მოდვეწვევია მეზობელი ერის შვილი სპეციალობით ტეხნიკოსი და ის ანაწილებს პურს და „სელიოდკას“. არ ვიტყვი, რომ ეს ხელობა უსაქმობაა, მაგრამ მას სპეცი არ ესაჭიროება. ჩვენში ცნობილი მეპურეებია ხუთჯერ მეტი პურის განაწილება შეუძლია ერთ რომელმე მეპურეს, ვიდრე ეს ესაჭიროება სახელმწიფო ადმშენებლობის კომიტეტს. ტეხნიკოსი თავის პოსტზე უნდა იდგეს. თუ ვინმეს ვაწუხებთ თავისი სპეციალური საქმე ვაკეთებინოთ.

საქმის წარმოება, რომ ქართულად იყოს, ეს ძნელი საქმე არ არის, საჭიროა მხოლოდ, რომ ქართულის მცოდნენი იყოს საქმის მწარმოებლები, ბევრჯერ შევხვედრივარ—ზოგიერთი აჩირებული დაწესებულება ქართულად გზავნის მოწერილობას; საქმის მწარმოებელს, ქართულის არ მცოდნეს, უხდება მიმართოს რომელიმე ქართველს, მოაცდინოს თავის საქმეს და ათარგმნინოს ქართულიდან რუსულად. რას მივაწეროთ ეს, არსებულ „ხელისუფლების, შემცდარ პოლიტიკას თუ არ მონდომებას? როცა რომელიმე სოფლიდან მდინარის ნაპირების გამაგრების, ან არხის გაყვანის საჭიროების შესახებ სოფლების დადგენილება ქართულად მოდის და ამ დადგენილებაზე ამბობენ „Какую то бумагу получили на грузинском языке“ დარბიან აქეთ იქით სათარგმნელად, აფერხებს თუ არა ეს საქმეს?

როცა საქართველოში ქართულად დაწერილ ქაღალდს ისე ათვალიერებენ, თითქოს ჩინეთიდან ჩინურად დაწერილი რამ მოსულიყოს, ან რაღაც ძველის ძველი მწერლობა აღმოეჩინოთ, არის თუ არა ეს დასაშვები?

ს. მეიშვილი.

## გრიშაშვილს

შენს წიგნზე ასხმულს გადაკინძულ ლექსების ჯაგანს
ტყვეთა ჰყავს გული, რომ გრძნობები გაანამყენოს.
არ გიყვარს ცრემლი და არც ეძებ სიცოცხლის საგანს,
გინდა ღიმილმა მზე დაჰფაროს, გადააყენოს.
სინდიყის სარკეთ აელვარებ სიტყვას ჰკვიანურს,
უმზითვო ფიქრებს სხვას უგზავნი მუდამ გირაოთ,
გაცვეთილ ჰანგზე არ აღიმებ თარს და ჰიანურს,
გინდა, რომ ლექსი დაედევნოს დრუბლებს ირაოთ.
ზეცის კენწეროთ შენ დაჰლუნე, შენ დაიწოდე,
გეარშიყება ნარიყალა კოხტა, საქები,
რას მოასწავებს შენი ყოფნა, ნეტავ ვიცოდე,
რომ მტრების შურით არა სჭკნები, არ ილაქები.!
შენ ყველა გეტრფის და გულშივე მალავენ თითქოს.
არა ხარ ფლიდი მატყუარა და არც თიდისმა.
თვით მტკვარსაც უნდა შენის ეშხით ცა შეიხვითქოს
და შეგიყვაროს დაღონებულ ძველმა ტფილისმა.
და მოვლენ სხვები, სხვებიც მოვლენ ადრე თუ გვიან,
კოცნით გახლეჩენ შენს საქებრად მარჯნის ხეივნებს.
სიმხიარულეს ტუჩის ეზოს გადაუგვიან
და შენი ლექსი უდარდელად იარხეინებს.

ნინო თარიშვილი.

## პოლიგრაფია თუ კომისარიატი *)

დიდი ხანია რაც [illegible] ხელისუფალ ორგანოებში სამოქმედო ფუნქციათა არევა. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი დაწესებულება მეორეს საქმეში ერევა და თავისი უფლება ამა თუ იმ საქმის მიმართ ვერ განუსაზღვრავს.

მოვალეობათა ასეთი გაურკვევლობა ძალიან აფერხებს საქმის მსვლელობას და სახელმწიფოსათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

ორ წელზე მეტია რაც მეცნიერულ კვლევა-ძიებას და მუშაობას აწარმოებს სამოსწავლო კომიტეტი, ერთი ყველასათვის სავალდებულო ქართული სალიტერატურო ენის შემოღებისათვის.

რომ ყველა მწერალს, ყველა ლიტერატორს არ ქონდეს უფლება თავისებური ფონეტიკური და მორფოლოგიური „კანონები“ შექმნას და ძალაუნებურად მოახვიოს იგი თავზე მკითხველ საზოგადოებას, ეს სამოსწავლო კომიტეტი და მასთანვე არსებული კომისია ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ქართული სალიტერატურო ენის დაკანონებისათვის. რომ საბოლოოდ გადაიჭრას ჩვენ გრამატიკაში არსებული პრობლემები და მრავალი სუბიექტიური ბგერის და პრეფიქს-სუფიქსების ხმარების წესი, ამ ხსენებულ სამოსწავლო კომიტეტს, რომელიც შესდგება ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთაგან, დავალებული ქონდა სალიტერატურო ქართულის ორთოგრაფია ფონეტიკის პროექტის შედგენა და მისი გამოცემა, რომ საზოგადოებას საშუალება ქონოდა გასცნობოდა მას და შემდეგ სპეციალისტ დარგის მუშაკთა კონფერენციის მოწვევა ამ პროექტის შესასწორებლად და დასამტკიცებლად.

კომიტეტმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, უკვე დაასრულა თავისი ნაყოფიერი და დიდათ მნიშვნელოვანი შრომა და გადასცა განათლების კომისარიატს გამოსაცემად. ედიოსა როგორც იქნა ამ წიგნს დაბეჭვდა, მაგრამ პოლიგრაფიულ განყოფილებას არ სურს ამ წიგნის ხალხში გამოშვება და დღესაც საწყობის მწკრივებს „ამშვენებს“ ეს ისტორიული განძი. მიზეზად პოლიგრაფია ასახელებს იმას, რომ განათლების კომისარიატმა უნდა გაასწოროს მასთან ამ წიგნების დაბეჭვდაზე გაწეული ანგარიშები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი ბაზარზე გამოშვება.

ყოვლად დაუშვებელია, რომ ამ უმნიშვნელო მიზეზით აქამდე დაკავებულ იყოს ამ ნაშრომების გამოცემა მაშინ, როდესაც ცის მანანასავით ელის მას დაინტერესებული საზოგადოება და განსაკუთრებით სიტყვიერების დარგზე მოსწავლე სტუდენტობა.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ამ შემთხვევაში პოლიგრაფიული განყოფილების კომპეტენცია უფრო მაღლა სდგას თუ განათლების სახალხო კომისარიატის. ვფიქრობთ, რომ არ უნდა არსებობდეს პოლიგრაფიული განყოფილება როგორც სუვერენული ორგანიზაცია და სახალხო განათლების კომისარიატის ფარგალში უნდა არსებობდეს იგი. ცხადია და ასეც უნდა იყოს, რომ ამ უკანასკნელს უნდა ჰქონდეს სრული უფლება სახელმწიფო გამომცემლობაზე. და ესეც რომ არ იყოს შემდეგაც შეიძლება „მორიგდეს“ ეს ორი დაწესებულება თავიანთ შორის და ეხლა კი მისცენ საშუალება ხალხს გაეცნონ ამ ნაწარმოებს.

ამავე „ანგარიშიანობის“ ნიადაგზე გაჩერებულია პოლიგრაფიაში

*) წერილები დაგვიანებით იბეჭდება. რედ.

რესპუბლიკის ტეხნიკუმების პროგრამები, რაც აუცილებლად საჭირო იყო იმ თავითვე. შრომის სკოლების პროგრამები როგორც იქნა დარიგდა, მხოლოდ ტეხნიკუმების პროგრამების გამოშვებას არაფერი ეშველა. სამოსწავლო წელი უკვე მეორე ნახევარში იმყოფება და ცოტა ხნის შემდეგ ეს პროგრამები დაჰკარგავენ არსებით მნიშვნელობას და საარქივო ქაღალდებათ გადაიქცევიან.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ფიცხელი ყურადღება და ისედაც დაავადებულ სახელმწიფო გამოცემლობას ეს ერთი შემაფერხებელი მიზეზი ჩამოსცილდეს დაუყოვნებლივ.

გ. თავზარაშვილი.

## მოწოდების გამო

1921 წლის გვალვიანობამ საქართველოს ზოგიერთ კუთხეებს დიდი სიმშილობა მიაყენა.

ჯერ კიდევ სიმინდის თესვაც არ არის დაწყებული და ზემო იმერეთის გლეხობა უკვე თავზე მეტი სრულდება, რაც თითო ფუთი სიმინდის სასყიდლათ რამოდენიმე დღეებს კარგავს გურია-სამეგრელოში.

ასეთივე მდგომარეობაშია დანარჩენი დამშეული კუთხეებიც. ერთი სიტყვით დამშეულთა მდგომარეობა მეტათ მძიმეა და მოითხოვს, რომ საქართველოს მშრომელმა ხალხმა და მთავრობამ მათ დაეხმაროს.

საქართველოს მთავრობა შეუდგა ენერგიულ მუშაობას დამშეულთა დასახმარებლად, აირჩია კომიტეტი, რომელიც იმუშავებს ზომებს თავზე დატეხილ უბედურების გამოსასწორებლად. მართალია, დღეს ეკონომიურ გაჭირვების დროს არც ჩვენ ვიმყოფებით კარგ პირობებში, მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სახსარი არ მოიპოვებოდეს ჩვენშივე ცოტაოდენი დახმარებისა.

ქართული ანდაზა ამბობს, რომ „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოვო“ ეს ანდაზა საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა აქციოს საქმედ და ყოველივე ზომები უნდა იხმაროს დამშეულთა დახმარებისათვის. ერთი სიტყვით, ვისაც უყვარს სამშობლო, რევოლიუცია და თავისუფლება, იგი ყოველთვის ეცდება შეასრულოს პირნათლად თავისი მოვალეობა,

დღეს ბევრი შავი ელემენტები, რომლებიც დაძვრებიან საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, ყოველივე ზომებს მიიღებენ, რომ ეს მდგომარეობა თავისებურად გამოიყენონ, და აკეთონ ის ბნელი საქმეები, რომელიც საქართველოს მშრომელი ხალხის საწინააღმდეგოთ არის მიმართული.

ჩვენ ერთ წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მოვალეობა ერისა და რევოლიუციის წინაშე და მედგრათ ვეწინააღმდეგოთ ყველა იმ მტრებს, რომელნიც მოინდომებენ ქართველი ხალხის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობით ვაჭრობას.

დამშეულთა დახმარების საკითხი დღეს ჩვენს წინაშე მორიგი გადაუდებელი საკითხია, რომელიც მოითხოვს მთელი ჩვენი ენერგიის ამოძრავებას. საჭიროა ამ მხრივ მთელი ძალების მობილიზაცია და შეუდრეკელი თავგანწირვით მუშაობა.

გ. ლ—რი.

# მოწერილი ამბები

სოფ. ქვაციხე (ქიათურის რაიონში) თახამედროვე პრესაში ბევრი დაიწერა და იწერება სოფლის ქირვარამზე.

თითქოს დიდი ყურადღებით ეკიდებიან სოფლის ცხოვრებას, მაგრამ ეს ყურადღება ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქაღალდზე რჩება. ნამდვილათ კი — სოფელი ყოველგვარ მზრუნველობას მოკლებულია და სრული ინდიფერენტიზმითაა მოცული.

თითქოს სოფელი არ იყოს უმთავრესი დასაყრდნობი ყავარჯენი ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა; თითქოს სოფელი არავის აინტერესებს და სოფელს არაფერი აინტერესებს...

ის თემი, საიდანაც ეს წერილი იგზავნება, არის უმნიშვნელოვანესი თემი ქიათურის რაიონში, მაგრამ მიუხედავათ ამისა. თებერვლის გადატრიალების შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხელისუფლების რომელიმე სერიოზული წარმომადგენელი მოსულიყოს სოფლად, გადაეშალოს ხალხისათვის მომენტის მნიშვნელობა, მომავლის იმედიანობით ენუგეშებიოს მშრომელი გლეხობა და გაეგოს სოფლის ტკივილი.

ადგილობრივი ხელისუფლება კი თავისებურათ სარგებლობს ამ „იზოლიაციით“, იგი ვერ გასცილებია სრულ ინტელექტუალურ სიბეცეს მმართველობაში. არ არის ისეთი კაცი, რომელსაც სათანადოდ გაეგებოდეს თავისი კომპენტენცია და ამ მხრივ სრული ქაოსია შექმნილი.

მოქალაქემ არ იცის ვის მიმართოს თხოვნით, ვისთან იქონიოს საქმე—რევკომთან თუ კომიაჩეიკასთან, ადგილობრივი კომ-იაჩეიკა პოლიტიკურ ორგანიზაციის მაგიერ, რაღაც სასამართლოს მზგავს რამეს წარმოადგენს, რომელიც ღებულობს ყოველგვარ საჩივარს და განაჩენს, რევკომს უგზავნის წინადადების სახით. კომ.იაჩეიკის მეთაურები ვერ არჩევენ თავის ორგანიზაციას „ჩეკა“-საგან და ნათლავენ რა იაჩეიკას ამ სახელით, ხშირათ კურიოზულ მდგომარეობამდე მიდიან.

ჩვენ ვფიქრობთ, კომპარტია ყურადღებით მოეპყრობა სოფლის იაჩეიკებს და უდირს წევრთა გაძევებით აამაღლებს მმართველ პარტიის პრესტიჟსა და ღირსებას.

რევკომის ცხოვრებიდან მოვიყვანთ მხოლოდ შტრიხს.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში დატუსაღებულ იქმნა ქურდობაში შემჩნეული მოქალაქე ექვთიმე ჩუბინიძე.

წინააღმდეგ საქ. რევ-კომის დადგენილებისა (№ 14) იგი ყოველგვარ დაკითხვისა და ოქმის გარეშე დაამწყვდიეს რევკომის „კუტუზკაში“, სადაც 5 დღე ჰყავდათ.

ამ ხნის განმავლობაში რევ-კომის თანამშრომლები ყველას გასაგონათ მსჯელობდნენ, რომ ასეთი კაცისათვის საჭირო არაა სასამართლო, რომ იგი უნდა დაიხვრიტოს., მართლაც დეკემბრის 1 ნაშუადღევს გაისმა სროლა ვინტოვკიდან, ყველასათვის ცხადი იყო სროლის მიზეზი. „გაგვექცა და მოვკალით“ განაცხადა რევკომმა. მაგრამ ჩვენებიდან და საქმის შემოწმებიდან მეტად საეჭვო გახდა მკვლელობის მიზეზი.

ამ საქმის გარშემო სწარმოებს გამოძიება.

თემის რევ-კომი მზათაა ყოველი ღონე იღონოს საქმის ჩასაქრობათ.

ჩვენ მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს და კერძოთ ქიათურის რაიონულ ხელისუფლებისაგან საქმის შესაფერ გამორკვევას, მით უმეტეს, რომ ანალოგიური მაგალითი მოხდა ამას წინად მეზობელ თემში და ამ საქმის მიფუჩეჩება იქნება გარანტია მრავალჯერ განმეორებისა.

Sibre.

—

**წერილი გურიიდან.** სოფლის მდგომარეობა მეტად მძიმე და აუტანელი შეიქმნა საშინელი სასურსათო კრიზისის გამო. გლეხობა თან და თან კარგავს სულიერ სიმშვიდეს. მას კარგად ესმის რომ სამუდამოდ დასამარდა ბურჟუაზიული მთავრობა, ესმის თუ რა მნიშვნელოვანია და სასარგებლო მშრომელი ხალხისათვის სოციალისტური მთავრობა, მაგრამ მისი გულის სიღრმე წარმოადგენს ბუდეს სევდიანისას, რომელშიაც იბადება ქსელი სასოწარკვეთილებისა...

ეკონომიურმა სიღატაკემ, სურსათის უქონლობამ დააკარგვინა გლეხობას სულიერი სიმშვიდე.

გაზეთების ცნობით ვიცით, რომ სიმშილის წინაშე სდგას საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე, მაგრამ ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში ჩამოსავლეთი გურიაა, სადაც ჯერ გვალვამ და მერმე დაუსრულებელმა წვიმებმა გაანადგურეს ჭირნახულები. გლეხი, რომელიც მოელოდა საყოფზე მეტ სიმინდს, სრულიად უსიმინდოთ დარჩა. სწუხს იგი და გამოსავალი გზა ვერ უპოვნია: უმრავლესობას სრულიად არ მოეპოვება სასურსათო მასალა და არც აქვთ რამე, რომ გაყიდონ და ანაღები ფულით სურსათი შეიძინონ. ანდა გაღატაკებულმა გლეხმა, რომლის ქოხში ხამთრობით ქარი სისინებს, როგორ უნდა შეიძინოს მისი ოჯახის საყოფი 80—100 ფუთი სიმინდი, როცა ფუთი სიმინდი ფასობს 500,000 მანეთს. მალე ფუთი სიმინდი უფრო მეტი ეღირება და გლეხს კი წელს—ცუდი ასინდების გამო—არაფერი მოსვლია. სად იშოვოს ამდენი ფული?! სწუხს და დაგროვილ აწარე ფიქრებს მიჰყავს სასოწარკვეთილებამდე...

სასურსათო გადასახადს ცოტა არ იყოს გაღატაკებული გლეხობა უკმაყოფილოდ ხვდა, თუმცა კარგად ესმის ამ გადასახადის მნიშვნელობა. მას სურს გადაიხადოს, მაგრამ რა ქმნას, როცა გადახდის საშვალება არ აქვს, კარგი იქნება, რომ აღმოსავლეთ გურიას განთავისუფლებდეს მთავრობა ამ გადასახადისაგან.

გურია და მასთან ერთად საქართველოს ყველა კუთხე სიმშილს მოელის. მთავრობამ დროზე უნდა იზრუნოს ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, თორემ ადვილი მოსალოდნელია საქართველოში საშწუხარო ფაქტების წინაშე დავსდგეთ.

სოფლები რადგაც უიმედო და სევდიანი თვალით გამოიყურებიან. მათში ძალიან გავრცელებულია ქურდობა. იპარავენ სიმინდს, საქონლებს, ღორებს ქათმებს და სხვ.

მთავრობა დიდ ზომებს ღებულობს და ხალხიც თითქმის ყოველ დღე იკრიბება ქურდების აღმოსაჩენად, მაგრამ ჯერ ვერ მოუსპიათ და ქურდობა კი თან და თან ვრცელდება.

კულტურული მუშაობა თან და თან ქრება, ამ მოუსვენრობის დროს გაზშირებულია საშინელი სენი „ხყვავილი,“ რომელმაც არა ერთი ოჯახი ჩააქრო, არა ერთი და ორი სოფლისათვის დიდათ სასარგებლო ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს...

უნუგეშო მდგომარეობაა... აწმყო ძწარეა, მომავალი არ ვიცით როგორი იქნება; მხოლოდ ვიცით, რომ გურია რევოლიუციის ბუდეა. გურიის გლეხობამ კარგად იცის რევოლიუციის ქარიშხლის სისასტიკე; იცის, რომ ის ბურჟუაზიის შავ კლანჭებში აღარ იმყოფება... იცის, რომ მისი პატრონი და კეთილის მსურველი სოციალისტური მთავრობაა; ის გულს არ იტეხს; სახე გაბრწყინვებული მელის არჩევნებს. უკვე დაიწყო არჩევნებიც, რასაც გურიის გლეხობა დიდი აღფრთოვანებით ეგებება და დიდ სითამამით ჩააბარებს საბჭოებს თავის ბედ-იღბალს...

დ. ივანიშვილი.

—

**გზები დახავლეთ საქართველოს ხილეებში.** ერის ცხოვრებაში სოფელი თითქმის ყოველთვის უპირველესი როლს თამაშობდა საზოგადოთ, და კერძოთ საქართველოსთვის მისი მნიშვნელობა ხომ უდიდესია. მიუხედავათ ამისა, მას კიდევ ყურადღებას ვერ ვაქცევთ ის ჯერ სრულიად მოუწყობელია და საჭიროა ამ მხრივ დიდი მუშაობა. ჩვენი სოფლების დიდ უმრავლესობას არ გააჩნია გზები და რომ ეს დიდათ აფერხებს, თითქმის კიდევაც სწყვეტს კავშირს სოფელსა და ქალაქს შორის, შეუძლებელია ხდის სოფლიდან ქალაქში და პირიქით საჭირო საგნების შეტანას—ამაში ყველა დაგვეთანხმება. მე ძნელდებლობაში მყავს დასავლეთ საქართველოს სოფლები, საიდანაც ძალიან ხშირათ რისიმე გამოტანა ბაზარზედ შეუძლებელი ხდება, აფარებელი ხილი, ხე-ტყე და სხვა მრავალნი ადგილობრივ ლეპები. ხშირია ისეთი მაგალითიც, რომ ერთ სოფელში პროდუქტი გაცილებით იაფია, ვიდრე მეორე, მის მოსაზღვრე სოფელში ან ქალაქში. ამის მიზეზი კი უმთავრესათ გზების უქონლობაა. ეს მოვლენა ბაზარზე იწვევს: სიძვირეს, საქონლის კრიზისს, გადამალვას, სპეკულიაციას და სხვებს. ჩვენში, შედარებით პატარა საქართველოში ვერ მოგვიხერხებია საქონლის გათანასწორება, რაც ერთ მთავარ მიზეზს შეადგენს ჩვენი გაჭირვებისა და სიღარიბისას. ეს კი დიდათ საზარალო არის. აუცილებლათ საჭიროა: სურსათის გამოტანა იმ კუთხიდან—სადაც ეს მეტია და შეტანა იქ, სადაც ის არ არის. ეს დღეს-დღეობით შეუძლებელია. გზა ეს მთავარი მამოძრავებელი არტერიაა, როგორც სოფლისთვისა და ქალაქისთვის, აგრეთვე მთელ სახელმწიფოსთვისაც.. და მისი უყურადღებოთ დატოვება, ეს უდიდესი დანაშაულობა იქნება მთავრობის მხრივ. ამაში ერთნაირათ დაინტერესებულია როგორც სოფელი და ქალაქი, ისე მთელი სახელმწიფოც. როგორ უნდა შემოიტანოს გლეხმა თავის ოფლით მონაგარი ჭირნახული ბაზარზე გასასყიდათ, თუ მას გზა არ ექნა? სამწუხაროთ ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევენ ზოგიერთი სოფლის რევკომები.. ჩვენს სოფლელებს ესაჭიროება მეთაური, საქმის დამწყები, რომ ჩაებან ამ დიდ საქმეში, რომელიც როგორც ვსთქვით, ერთნაირათ საჭირო და სასარგებლოა ყველასთვის. საჭიროა ამოქმედდენ ადგილობრივი რევკომები, გამოაფხიზლონ მკვიდრნი, აუხსნან მათ გზის მნიშვნელობა (ვფიქრობ, რომ ეს საჭირო იყოს!) და მოჰკიდონ ამ დიდ საქმეს ხელი. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ აუცილებელი საჭიროებაა აქ სახელმწიფოებრივი მაშტაბით დახმარება, მასალით და სპეციალისტებით მაინც, უკიდურეს შემთხვევაში.

უპირველესი ყურადღება გზის შეკეთებას, რომ იცოცხლოს საქართველოს ჯანსაღმა ნაწილმა, გლეხობამ—რომელიც საკუთარი ოფლითა და პატიოსანი შრომით არჩენს, როგორც თავის ცოლ შვილს ისე სახელმწიფოსაც.

გრ. შავგულიძე.

—

**ვანი (ქუთაისის მაზრა).** ვანის რაიონი (საჩინო) ცნობილია ჭირნახულის კარგი მოსავლით. ხალხის თქმით „ქვეყანა რომ დაიმშეს, საჩინომ არჩინოსო“. მაგრამ წელს მსოფლიო ომისა და რევოლიუციის მიერ გამოწვეული ხარჯებით გაძვალტყავებულ ხალხს მთელ ქუთაისის მაზრაში და კერძოდ ვანის რაიონში, თავს დაატყდა სტიქიური უბედურება — საშინელი მოუსავლობა. ჯერ იყო და გაზაფხულზე, სიმინდის თესვის დროს, დადგა ხანგრძლივი გვალვები, რამაც ძლიერ დააგვიანა ყანების დათესვა. გაიყვანეს არხები მინდვრების მოსარწყავად. ამან საშვალება მისცა გლეხებს, თუმცა დაგვიანებით, მიწების დამუშავებისა. მაგრამ საგრძნობი ნაწილი მინდვრებისა (დაახლოვებით $^{1}/_{4}$) დაუთესავი დარჩა.

მოსავალს საშუალო პირი უჩანდა, საქონ კი იყო ყანების დამწიფება.

ამრიგად გლეხობა გაზაფხულის გვალვებს გადურჩა, მაგრამ აგვისტოს უკანასკნელი რიცხვებიდან საშინელი წვიმები დაიწყო. მზიანი დღე სანატრელი გახდა ხალხისთვის. წვიმების გამო ყანებში $^{1}/_{2}$ არშინის სიმაღლეზე წყალი ჩადგადა დაუმწიფებელი ჭირნახული დალპა. დღეს ხალხის სულიერი მდგომარეობა აუტანელია. მთელს რაიონში ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელსაც ექვსი თვის საზრდო ჰქონდეს. მდგომარეობა სერიოზულია. საჭიროა მთავრობის ყურადღება.

დ. ლ.

—

**ხმა დამშეულ ტობანიერიდან.** ჩვენი თემი განთქმული არის ჭირნახულის კარგი მოსავლით. უმთავრესად ვთესავთ სიმინდს და ყოველთვის ტობანიერის თემს სარჩო მეტი მოსდიოდა, ამიტომაც მეზობელ თემებს საშვალება ჰქონდათ თავიანთი სურსათის დანაკლისი ტობანიერის თემიდან გაეტანათ; ასე რომ, სურსათის მხრივ, ტობანიერის თემის მცხოვრებლები ერთი მეორის ცოტა დახმარებით [illegible] ლყოფილი იყვნენ.

წელს [illegible] რიალდა... ულმობელმა ბუნებამ ჯერ არ მოგვცა სიმინდის თავის დროზედ დათესის საშუალება გვალვის გამო, რისთვისაც დიდძალი ადგილები დაგვრჩა დაუმუშავებელი და შემდეგ კი, გამუდმებულმა წვიმებმა, ისედაც ნაგვიანებ ყანებს მთლად მოუღო ბოლო... დავრჩით ხელ-დაკრეფილი აქაური მცხოვრებლები. ყანებმა დამწიფება ვეღარ მოასწრეს და იძულებული ვიყავით ისევ დაუმწიფებელი ყანა აგვეღო, ვინაიდან გიორგობისთვეში უკვე თოვლი გვესტუმრა...

ზღაპრული სიძვირე თან და თან იზრდება, მაგრამ სიმინდის სიძვირის ზრდას უფრო დასტირის ხალხი. მდგომარეობა ისე ეწყობა, რომ სულ მოკლე ხანში, ვერც სასყიდლად ვიშოვით სიმინდს და თუ რა დაგვემართება შემდეგში, ამას ამ თავითვე ვგრძნობთ...

ხალხში ხმა არის გავრცელებული, ვითომც აფხაზეთში სიმინდის კარგი მოსავალი ყოფილიყოს და ადგილობრივი აფხაზეთის მთავრობა ჩვენსკენ გამოსატანად ხალხს ნებას არ აძლევდეს.

ჩვენ არ ვიცით, დანამდვილებით ეს აზრი რამდენადაც სიმართლეს შეიცავს, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ასეთი ხმები ხალხს გამხნევების მაგივრად, სასოწარკვეთილებაში და უნუგეშო მდგომარეობაში რომ აგდებს... მას გულს უტეხს ასეთი ხმები, მხსნელს არსაიდან არ მოელის...

თუ უწინ მუშა კაცი იმას ნატრულობდა, რომ ასეთს წელიწადს მრავალს დავესწროვო, დღეს მის ნაცვლად ასე გაიძახის: ასეთ წელიწადს ღმერთმა მეორეს ნუ მომასწროსო...

სიმშილობას და სიტიტვლეს ავადმყოფობაც ზედ ერთვის, რისთვისაც მრავალი ადამიანი მოუვლელობის გამოესალმება წუთი სოფელს...

ასე რომ, თუ კარგად დაუკვირდებით ჩვენი თემის მცხოვრებლების მდგომარეობას,—საშინელების წინაშე ვდგავართ. შეიძლება ვინმემ აქ აღნიშნული მდგომარეობა გადაჭარბებულად მიიღოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს მწარე სინამდვილეა. შეიარეთ ჩვენი თემის სოფლებში, გაეცანით ხალხის მდგომარეობას, ნახეთ ყოველივე თქვენის თვალით და სინამდვილე ყოველთვის ცხადს ყოფს...

საჭიროა ადგილობრივმა ერთეულებმა, რომლებიც ჯერ-ჯერობით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ იშვიათ მოვლენას, ამ თავითვე მიაქციონ ყურადღება—იზრუნონ ხალხის საკეთილდღეოდ და უმაღლესმა მთავრობამ მოგვცეს დახმარება, რათა ხალხი კატასტროფიულ მდგომარეობიდან დავიხსნათ...

ჩვენ გვახსოვს ქართული ანდაზა, რომლის მნიშვნელობა ქართველმა ერმა კარგად იცის: „ძმა ძმისთვის—შავი დღისთვის“ და აჰა ჩვენსკენ ამ გაჭირვებულ დღისათვის.

სოლომონ უუბანეიშვილი.

## ჩვენი ფოსტა

**ბესო ელენტს.** თქვენი კორესპონდენცია გვიან მივიღეთ. იბეჭდება. მოგვაწოდეთ ხშირად კორესპონდენციები.

**გრ. შავგულიძე.** თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღეთ. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

**დ. ივანიშვილს.** ლექსები არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.